საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/35

ქ. ბათუმი 01 მაისი, 2019 წ.

ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანებით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივ დეპარტამენტში საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1) **მამუკა შენგელია** - აწსუ-ს პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
   2) **ემზარ მაკარაძე** - ბსუ-ს პროფესორი, წევრი;
   3) **ნატალია ლაზბა** - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი.

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2019 წლის 02 მაისიდან 06 მაისის ჩათვლით** (კონკურსის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს **2019 წლის 06 მაისისა**).

3. უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიამ იხელმძღვანელოს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04

გადაწყვეტილებით, ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანებითა და წინამდებარე დადგენილებით.

4. წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და საკონკურსო კომისიის წევრებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**